ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნობის ფურცელი

№ 1908 შაბათი, 27 აგვისტო. 1896—1902 ყოველ-დღიური გამოცემა № 1908

გაზეთის ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.
ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებ..ს გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

ყოველ დღიური გაზეთი
„ცნობის-ფურცელი“
სურათებიანი დამატებით

1-ლ სექტემბრიდან წლის დამლევამდე ტფილისში დარიგებით და ქალაქგარეშ გაგზავნით (რუსეთის იმპერიაში) ღირს **2** მან. და **60** კაპ,

ადრესი: Тифлисъ, редакція «Цнобисъ-Пурцели» (Большая Ванкская ул., домъ Мартирузова).

ჭიათურის მარგანეცის მრეწველთა საურთიერთო ნდობის
საზოგადოება

(ჭიათურის ბანკი) საზოგადოების წესდების § 33, 34 და 35-ის თანახმად იწვევს საზოგადოების წევრთ **საგანგებო კრებაზედ**, რომელიც უნდა მოხდეს ორშაბათს, 16 სექტემბერს, დილის 10 საათზედ, ჭიათურის თეატრის დარბაზში.

განსახილველი საგნები:

1) თანახმად საზოგადოების წესდების § 43-სა საბჭოს წევრთა რიცხვის მომატება.

2) იმავე წესდების § 44-ის თანახმად საბჭოს წევრთა არჩევანი, ნაცვლად ბ.ბ. ი. გასფელდისა და ი. კაკაბაძისა, რომელნიც სხვა და სხვა მიზეზების გამო საბჭოს წევრად აღარ ირიცხებიან, და აგრეთვე მომატებულ რიცხვის შესავსებლად. (ნ.1—1)

საფაბრიკო საწყობი
ქაღალდის ფაბრიკის სააქციონერო საზოგადოებისა
გ. ი. პალლიზენ

რჟევის ქაღალდის ფაბრიკის ამხანაგობისა და კოშელევების ქაღალდის ფაბრიკებისა.
ტფილისი, გოლოვ. პროსპ. მანთაშევის სახლში. **ბაქო**, მილიუტინის ქუჩა, გრანდ-ოტელის ქვემოდ.

ქაღალდი ყოველ-გვარი: ფოსტის, საწერი, წიგნის, ალბომის, გაზეთის, საბეჭდი და მუნდშტუკის, ბოთლის გასახვევი და სხვა; აგრეთვე წიგნები, კონვერტები, საწერი საკანცელარიო საგნები. ტელეფონი № 679. (0—53)

სასწავლებელი, პანსიონი და საბავშო ბაღი
ერისთავ-ბუგაევსკაიასი

იღებს ბავშებს პანსიონერებად, ნახევარ პანსიონერებად და გარედან მოსიარულებად და ამზადებს მათ ყველა სახაზინო სასწავლებლისათვის.

მიღება 24 აგვისტოდან. სწავლის დასაწყისი 2 სექტემბერს. ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი № 51 აივაზოვისა. (3—2)

ტფილისსი
კერძო სამკურნალო
მიხეილ გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა

დღით:

მ. ი. ჩიჩინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

ზ. ვ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ი. ჰ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

ქ. მ. ელიოზიშვილი—შინაგანი და ბავშვების 11—12 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი, შინაგანი, ნერვების და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ა. ზ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით 12—1 საათამდე.

ზ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანის და საშარდესი 1—2 საათამდე.

ვრ. მ. სობოლევსკი—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით 1—3 საათ.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.

მ. ი. იანჩევსკი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა. 5—6 ს. კვირაობით 12—1 ს.

ა. ზ. მაღალაშვილი—შინაგანი ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

ზ. მაღალაშვილი—კვირაობით, 10—12 საათამდე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით.

ადრესი: კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საკონსისტორიისა, № 21. (ვორონცოვის ძეგლის პირდ. პირ.

ტელეფონი № 274. (წლ.)

ფოთის საბუხჰალტერიო კურსები
ა. კ. გიგინეიშვილისა.

თხოვნა მიიღება ყოველ დღე. სწავლა დაიწყება პირველ ენკენისთვიდან. პირობები და პროგრამები მსურველთ გაეგზავნება უფასოდ. (ნ. 20—18)

არტისტობის მსურველთა საყურადღებოდ

ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობა წელს აპირებს **გამოსაცდელ წარმოდგენების გამართვას**; ამ წარმოდგენაში მონაწილეობის მიღება ვისაცა ჰსურს, უნდა განაცხადოს თეატრის კანტორაში დილის 10—12 საათამდის. (3—2)

ფოთის საქალებო სამ-კლასიანი
პროგიმნაზია

მოსწავლეთა მიღების შესახებ თხოვნებს იღებს სამეგრელოს საქალაქო სასწავლებლის ინსპექტორი. ეგზამენები მოხდება 30 და 31 აგვისტოს ოლგას საქალებო სასწავლებლის შენობაში. ეგზამენების დასაწყისი დილის 8 საათზე. (ნ.—2—2)

ექიმი
ალექსანდრე გიორგის ძე
მაღალაშვილი
(მიხეილის ქუჩა, 30)

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს დილით 12—2 საათამდე და საღამოთი 4—5-მდე.

კბილის ექიმი
ივანე პავლეს ძე
ახალშენიშვილი

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდის. კვირა-უქმე-დღეებში 10—1-დის და საღამოთი 5—7-დის.

ელისაბედის ქუჩა, № 38. (წლ.)

ექიმი
ვ. ს. მუსხელაშვილი

მიიღებს თვალებით ავადმყოფებს საღამოთი 5—8 საათ.

წყნეთის ქუჩა № 24 სახ. ვაჩნაძისა. (წ).

საზღვარ-გარედ

ბურების საქმე. როგორც მკითხველს ეცოდინება, ბურების სამი გმირი გენერალი—დევეტი, ბოტა და დელარეი ლონდონში არიან თავიანთ თანამემამულეების საქმის მოსაწყობად. სანამ ომი იყო, თავგანწირულად და გმირულად იბრძოდნენ, ჩამოვარდა ზავი და გენერლები სამშვიდობო საქმეს შეუდგნენ—განზრახვა აქვთ, რაც შეიძლება, შეამსუბუქონ დამორჩილებულ ბურების მძიმე ხვედრი. „რამდენი ხანი დარჩებიან გენერლები ლონდონში, ჯერ გადაწყვეტილი არ არისო, იწერებიან კორესპონდენტები; ეს დამოკიდებულია ინგლისის მთავრობასთან მოლაპარაკებისაგან. უმთავრესი მიზანი ამ მოლაპარაკებისა ის არის, რომ მთავრობას უნდა მოამატებინონ იმ სამ მილიონ სტერლინგისათვის, რომელიც ხელშეკრულობის ძალით ბურებს უნდა მიეცეს დანგრეულ სახლ-კარის აღსადგენად. ბურების გენერლები ასე უმტკიცებენ ინგლისის მთავრობას ფულის მომატების აუცილებელ საჭიროებას: თუ გავანაწილებთ 3 მილიონ გირვანქა სტერლინგს ყველა იმ ბურებ შორის, რომელნიც ომში მონაწილეობას იღებდნენ, თითოეულ მეომარს შეხვდება 50 გირვანქა სტერლინგი (500 მანეთი). საშუალო რიცხვით თითოეულ ოჯახიდან სამი მეომარი იყო; მაშასადამე ერთი ოჯახი მიიღებს 150 გირვანქა სტერლინგს (1500 მანეთს) და ამ ფულით მან უნდა აიშენოს სახლი, იყიდოს ცხენები და სხვა საქონელი, ტანისამოსი, ავეჯი და სხვა. ცხადია, რომ ეს ფული საკმარისი იქნება მხოლოდ ფერმის აშენებისათვის. ბურების მატერიალურად უზრუნველყოფისათვის და სამხრეთ-აფრიკაში ეკონომიურ წესიერების ჩამოგდებისათვის საჭიროა, რომ ბურებს სამის მაგიერ ათი მილიონი გირვანქა სტერლინგი (100 მილიონი მანეთი) მიეცეს. თუ მთავრობა ამისი თანახმა გახდება, თითეულ ოჯახს შეხვდება 480 გირვანქა სტერლინგი (4800 მ.); ამ ფულით შეეძლება ფერმერს ფეხზე დააყენოს თავისი დანგრეული და განადგურებული ოჯახი. მთავრობა კი ათი მილიონის მაგიერ სამს იძლევა. უნაყოფო იქნება ეხლა კამათი იმის შესახებ, თუ ვინ გამოიწვია ომიანობა და ვინ არის მიზეზი ბურების ქონების განადგურებისა—ბურები ინგლისელებს სდებენ ბრალს, ინგლისელები ბურებს. ერთად-ერთი ფაქტი, რომელიც უნდა ვიქონიოთ ეხლა სახეში, ის არის, რომ სამხრეთ-აფრიკაში ორასი ათასი კაცი სრულებით მოკლებულია ცხოვრების სახსარს; ამოდენა ხალხის ასეთი მდგომარეობა ომის შედეგია. ჩვენ არ შეგვიძლია დახმარება გავუწიოთ გაჭირვებულებს, რადგან არაფერი გაგვაჩნია. თქვენ მდიდრები ხართ და თქვენი ზნეობრივი მოვალეობაა მისცეთ ბურებს, რასაც საჭიროებენ. ამასთან ეს ორასი ათასი კაცი ეხლა თქვენი ქვეშევრდომია. ჩვენ მოწყალების სათხოვნელად როდი მოვსულვართ: ჩვენი სურვილია დაგანახვოთ ქვეყნის ნამდვილი მდგომარეობა და აგიხსნათ, თუ როგორ უნდა მოიქცეთ სამხრეთ-აფრიკაში წესიერების დასამყარებლად“.

გაზეთების ცნობებით, ინგლისის საზოგადოება იმ აზრისაა, რომ მთავრობამ უნდა დააკმაყოფილოს ბურების წარმომადგენლების მოთხოვნა. იმედია, ინგლისის მთავრობა მართლა შეასრულებს თავის მოვალეობას დ დააკმაყოფილებს ბურებს, რადგან მას კარგად უნდა ესმოდეს და ესმის კიდეც, რომ ორასი ათასი მშიერ-მწყურვალი ქვეშევრდომი დიდი ტვირთია სახელმწიფოსათვის.

ინგლისი ზოგიერთ ქვეყნებს როდი ჰგავს, სადაც წლიურ ხარჯთ-აღრიცხვას ყოველთვის „ბრწყინვალედ“ ასრულებენ და ხარჯის გადამხდელს კი შიმშილისაგან ფერდი ფერდზე მიჰკვრია. ინგლისის სახელმწიფო ბიუჯეტის ბრწყინვალე მდგომარეობა პირდაპირი შედეგია ინგლისელ ხარჯის გადამხდელის ეკონომიურ უზრუნველყოფისა; ზემოთ-დასახელებულ ქვეყანაში კი, პირ-იქით, რამდენათ უფრო კარგად სრულდება წლიური ბიუჯეტი, იმდენად ხალხი ღატაკდება და, რასაკვირველია, დადგება ისეთი დრო, როცა ხალხი სულ გატყავდება და ბიუჯეტისა და ბევრი სხვა რამეს „ბრწყინვალეობა“ მოგონება-ღა იქნება.

იაპონია. გუშინდელ ნომერში მოყვანილი გვქონდა ის მნიშვნელოვანი ფაქტი, რომ კორეის იმპერატორმა მოიწვია იაპონიის გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე კატო, რომელსაც მიანდო ყოვლის უწინარეს სახელმწიფო ფინანსების მოწესრიგება.

დღეს მეორე მნიშვნელოვან ფაქტს გვატყობინებენ გაზეთები: „პეკინიდან იტყობინებიან, რომ ჩინეთში მყოფ იაპონელ ჯარების ყოფილი მთავარ-სარდალი გენერალ მაიორი იამანი დაინიშნა იაპონიის საელჩოს სამხედრო ატაშედ პეკინში. როგორც ჰფიქრობენ, გენერალ იამანის მიანდობენ ჩინეთის ჯარის რეორგანიზაციას. გერმანულ გაზეთების აზრით, ჩინეთის მთავრობის განზრახვაა შექმნას მეორე ისეთი ძალა, რომელიც წინააღმდეგობას გაუწევს რუსეთის იმპერიის გავლენას ჩინეთში.“

იაპონია შეგნებულად და ენერგიულად იბრძვის მომავლისათვის. შორე აღმოსავლეთი ჩემი სარბიელიაო, ამბობს იაპონია და საქმითაც ამტკიცებს.

ახალი ამბავი

◆ **კავკასიის მთავარ-მართებელი** თავ. გ. ს. გოლიცინი კისლოვოდსკიდან ტფილისში ჩამოვა კვირას, 1 სექტემბერს.

◆ როგორც შევიტყეთ, **ყოვლად სამღვდელო კირიონი** თავისს ეპარქიაში, კამენეც-პოდოლის გუბერნიაში მიემგზავრება სექტემბრის პირველ რიცხვებში.

◆ როგორც გვატყობინებენ, ამიერ-კავკასიის რკინის გზის ყარსის შტოზე სადგურ ჯანდართან, 25 აგვისტოს, **მატარებელი გადასცდენია ლიანდაგს.** ამის გამო მგზავრები გზაში არიან თურმე შეჩერებულნი. დაწვრილებით ცნობები ჯერ არ მოსულა.

◆ ჩვენმა მკითხველებმა იციან, რომ ახლო მომავალში მთავრობამ ჩვენს **ქვეყანაშიაც უნდა შემოიღოს მაგარ სასმელებით ვაჭრობის მონოპოლია**, ე. ი. თავის ხელში უნდა დაიჭიროს მაგარ სასმელით ვაჭრობა. ფინანსთა სამინისტროს ჩვენი ქვეყნის სააქციზო დაწესებულებისაგან მოუთხოვია ცნობები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოეწყოს მონოპოლიის შემოღების საქმე კავკასიაში.

◆ მთავარ-მართებლის განსაკუთრებულ საქმეთა მინდობილების მოხელე ბ-ნი როზალიონ-სომალსკი წასული იყო იმ ადგილების დასათვალიერებლად ჩვენს ქვეყანაში, სადაც **მთავრობას განზრახული აქვს რუსეთიდან გადმოსახლებულები დაასახლოს.** ბ-ნმა როზალიონ-სომალსკიმ დაასრულა დათვალიერება ამ ადგილებისა და ამ დღეებში ტფილისს დაბრუნდა.

◆ მკითხველებმა უკვე იციან, რომ ტფილისის ქალაქის გამგეობამ წარუდგინა საგუბერნიო სამმართველოს საალმშენებლო განყოფილებას პროექტი ქალაქის **ელექტრონით განათებისა.** აღნიშნულ პროექტის განხილვას ტეხნიკოსთა კომისია მალე შეუდგება. ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის წარმომადგენლად კომისიაში დანიშნულ იქმნა ელექტრო-ტეხნიკოსი ბ-ნი ჩინნოი.

◆ გზათა უწყებას კავკასიაში **უანგარიშნია მომავალ წლისათვის** ორ მილიონ მანეთამდე ხარჯი ჩვენს ქვეყანაში ძველი გზების შეკეთებისა, თუ ახლების გასაკეთებლად.

✦ გუშინ, 26 აგვისტოს, ტფილისის გუბერნატორმა მისწერა ქალაქის გამგეობას, შეატყობინოს რა მდგომარეობაშია ამ ჟამად ამას წინად აღძრული საქმე ოლგას ქუჩიდან ვერის წმ. იოანნეს ეკკლესიამდე **ქუჩის გაყვანის** შესახებ.

✦ 25 აგვისტოს **სხდომა ჰქონდათ** კანდიდატთა სიის შესამუშავებლად ტფილისის მე-2 საარჩევანო ნაწილის ამომრჩევლებს. სხდომას დაესწრო 30 კაცამდე. კომიტეტმა წარუდგინა სხდომას განსახილველად იმის მიერ შედგენილი კანდიდატთა სია, რომელიც მოწონებულ იქმნა. თავის მხრით კრებამ შეავსო სია. მოლაპარაკების შემდეგ კრებამ დაადგინა, დაავალოს კომიტეტს საბოლოოდ შეიმუშაოს კანდიდატთა სია, დაჰბეჭდოს იგი და დაუგზავნოს თითო ცალი მე-2 საარჩევნო ნაწილის ამომრჩევლებს.

✦ სახელმწიფო **გლეხთა მდგომარეობის გამოსაკვლევად** ბორჩალოსა და გუმბრის მხარეებს გაგზავნილნი არიან მოხელეები. სამიწათ-მოქმედო სამინისტროს მოუწერია თავის რწმუნებულისათვის—თქვენს ახალს მეორე თანაშემწეს ბ-ნ ზოლოტარევს დაავალეთ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ამ საქმესაო. ამიტომ ბ-ნი ზოლოტარევი თვითონ გაემგზავრება, რათა ზემო აღნიშნულ ადგილებში მუშაობას თვითონ ადევნოს თვალყური და ადგილობრივვე გადასჭრას გლეხთა შორის ყოველივე უკმაყოფილება.

✦ რადგანაც 25 აგვისტოსთვის დანიშნულ **მესამე საარჩევანო ნაწილის კრებას** ამომრჩეველთა საკმაო რიცხვი არ დაესწრო, ამიტომ კრება პირველ სექტემბრისათვის გადაიდო. კრება ვეტცელის სასტუმროს დარბაზში მოხდება.

✦ გუშინ, 26 აგვისტოს, ტფილისის **გუბერნატორმა ხელ-ახლა მისწერა ქალაქის** გამგეობას ნავთლუხის ნავთიან ადგილების შესახებ. გამგეობას ნავთის ქები უნდა შემოეზღუდა რამე უბედურების თავიდან ასაცილებლად. გუბერნატორი სწერს, რა მიზეზია, გამგეობა არას მატყობინებს ამის შესახებაო.

✦ სექტემბრის შუა რიცხვებში პეტერბურგიდან ტფილისს მოელიან **სახელმწიფო საბჭოს წევრს** ა. ა. ბარონ ფონ-იკსკულს.

✦ 28 აგვისტოს თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილის თავმჯდომარეობით სხდომა ექმნება ხორცის დუქნების მომწყობ კომისიას. კომისიამ ამ სხდომაზე, 23 აგვისტოს სხდომაზე განუხილველ საგნებს გარდა, უნდა განიხილოს **ხორცისა და პურის** ნიხრის დაკლების საქმე.

✦ ქალაქის სასარგებლოდ **საშუალო-სააქციზო გადასახადის** შესახებ ის გვქონდა ამ დღეებში დაბეჭდილი, რომ გამგეობამ თავისს აგენტებს მოსთხოვა დაწვრილებითი ცნობები ქალაქში ტრაქტირების სავაჭროებისა. აგენტებს ეს ცნობები წარუდგენიათ კიდეც გამგეობისათვის და უკანასკნელის წევრი ბ-ნი კოკჩაევი იმის მუშაობაშია, რომ გაანაწილოს მეტრაქტირეებზე საშუალო-სააქციზო გადასახადი მომავლის წლისა. სულ უნდა გააწეროს ქალაქმა ექვსასი თუმანი.

✦ სექტემბერში მოელიან ტფილისში **ფოსტა-ტელეგრაფის უფროსს სამმართველოს მმართველის თანაშემწეს** სტ. სოვ. ნ. ნ. კორმილევს, რომელმაც ამ დაწესებულების რევიზია უნდა მოახდინოს ჩვენს ქვეყანაში.

✦ ტფილისი მუდამ **წელს ორმოც თუმანს აძლევს** ჩვენი ქალაქის რეალურ სასწავლებელში სწავლა-დამთავრებულ ღარიბთ. 1881 წლიდან 1996 წლამდე შემწეობას აძლევდნენ მოსწავლეს სასწავლებლის დასრულებისათანავე, ამ წლიდან-კი ქალაქის საბჭომ შესცვალა წესი და შემწეობას ისეთს აძლევენ, რომელიც უმაღლესს სასწავლებელში მიღებული იქნება. ხმოსანს ა. ს. ბუდდანოვ-ბალდასაროვს განცხადება შეუტანია ამ დღეებში და თხოულობს უკანასკნელი დადგენილება საბჭოსი ახლად გადავსინჯოთ და დავადგინოთ, შემწეობა უთუოდ რეალურ სასწავლებლის გათავებისას მივსცეთ ღარიბ მოსწავლეს, რადგან ხშირად მოხდება მოსწავლეს, არა თუ უმაღლესს სასწავლებელში შესვლა, ქალაქიდანაც დაძვრა არ შეუძლია მეტის ხელ-მოკლეობის გამოო; ამიტომ ხმოსანი სთხოვს საბჭოს, ისევ 1881 წლის წესს დავუბრუნდეთ ფულით შემწეობის მიცემაშიო.

✦ ქალაქის საძოვარ ადგილებში, როგორც ქალაქისა, ისე კერძო **საქონელზე ზეითბლთა ზედამხედველობა დაუწესებია** ქალაქს. ამას იქით ამ ადგილებიდან საქონელს გაუსინჯავად და შეუმოწმებლად აღარ გამოუშვებენ დასაკლავად.

✦ ქალაქიდან სიბინძურის გასატანად ამ რამდენისამე წლის წინად განზრახული იყო **მთელ ქალაქში არხი გაეყვანათ**. ამისათვის ინგლისელი ინჟენერი ბ-ნი ლინდლეიც მოიწვიეს, რომელმაც დაწვრილებით პროექტი შეადგინა არხების გასაყვანად (კანალიზაცია), მაგრამ ამ პროექტის შესრულება ძალიან დიდ ხარჯს ითხოვდა ქალაქისაგან. ქალაქმა დაადგინა კანალიზაცია ნაჭერ-ნაჭერ შემოვიღოთ თვით სახლის პატრონების დახმარებითაო: ვისაც კანალიზაცია უნდა, ხვედრი ფული შემოიტანოს და ჩვენ ჩვენის ტეხნიკოსებით გავუკეთებთო. ბევრმა შეიტანა ფული. ქალაქიც ამ ფულს სხვა და-სხვა, ეგრედ წოდებულს, „გარდამავალს“ თანხებში ინახავდა. ეს ათი წელიწადია ქალაქს ამ საქმისათვის ფული შეუდის სახლის პატრონებისაგან და გამგეობაც „გარდამავალ“ თანხებს აწერდა, არხების კეთება კი დღემდინაც არ დაუწყია. ზოგ სახლის პატრონს ფული უკან მოუთხოვია, რადგან არხებს არ გვიკეთებთო, მაგრამ გამგეობაში ვერ გამოურკვევიათ, ვისგან რამდენია ამ საქმისათვის შემოსული ფული. ამ ცნობებს ჰკრებს ამ ჟამად გამგეობის საბუხჰალტერო ნაწილი. ერთ-ერთს სახლის პატრონს, ემინოვს, გამგეობამ ორმოც თუმნამდე ფული უკან დაუბრუნა ამ დღეებში. თუ ფული შეკრებილი ჰქონდა გამგეობას, რაღას ელოდებოდა, ის დალოცვილი, ბარემ შემსდგომოდა იმ საქმის კერძოდ შესრულებას, რომელიც უპირველესს საჭიროებას შეადგენს მცხოვრებთათვის.

✦ **ხევსურეთიდან გვწერენ**: ამ რამდენისამე დღის წინად მოვიდა აქ ძლიერი სეტყვა, რომელმაც დააზარალა ბარისახოს საზოგადოების რამდენიმე სოფელი. ზარალი იმდენად დიდია, რომ ბევრს ორის დღის სარჩოც არ მოუვა. მცხოვრებთ გადასწყვიტეს: სთხოვონ ტფილისის გუბერნატორს შუამდგომლობა გასწიოს უმაღლეს მთავრობის წინაშე, რომ დაზარალებულ სოფლებს შემწეობა აღმოეჩინოთ.

✦ ბაზელის უნივერსიტეტის დოქტორს ა. მანუკიანცს უთხოვნია ამას წინად გუბერნატორისათვის, ნება მიეცეს გამართოს **ტფილისში საქიმიო ლაბორატორია.** გუშინ ტფილისის გუბერნატორი შეეკითხა ქალაქის გამგეობას, საწინააღმდეგო ხომ არაფერი გაქვთ იმისა, რომ მანუკიანცმა საქიმიო ლაბორატორია დააარსოს ტფილისშიო.

✦ ჩვენ დავბეჭდეთ ამ დღეებში, რომ გუბერნატორი დაეკითხა ქალაქის მოურავს, რატომ აქამომდე არ შეუდგა ქალაქის გამგეობა მიხეილის ქუჩაზე **ღია არხების გასუფთავებას და გადახურვას.** ეხლა ბ-ნი გუბერნატორი ამ საქმის შესახებ სწერს კიდევ გამგეობას: ქალაქის დებულების მე-148 მუხლის ძალით მეხუთედ მომითხოვია თქვენგან ცნობები და დაუყოვნებლივ წარმომიდგინეთო.

მოყვანილი მუხლი კანონისა ისე განმარტავს საქმეს, რომ მიზეზი დაგვიანებისა თუ შესაწყნარებელი არ აღმოჩნდა, გამგეობის წევრნი იქმნებიან პასუხის გებაში მიცემულნი საქმის ასრულების დაგვიანებისათვის.

✦ კვირას, 25 აგვისტოს, ტფილისიდან ბაქო-ბალაჯარის გზით რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის განსაგრძობად გაემგზავრა ტფილის კადეტთა კორპუსში კურს დასრულებულთა ერთი ნაწილი. სადგურზე მოსწავლეთა გასაცილებლად დიდ-ძალმა ხალხმა მოიყარა თავი.

✦ 24 აგვისტოს დიდის მთავრის ქუჩაზე მცხოვრებ მინგრელსკის რაზმის კაპიტანს ნევეროვიჩ-დანჩენკოს ბინაზე შეპარულა ვიღაც ბოროტ-განმზრახი იმ დროს, როცა ის შინ არ ყოფილა, და წაუღია 290 მანეთის ნივთები. ქურდობაში ეჭვი მიუტანიათ მოსამსახურე გარიაევზე, რომელიც უკვე დააპატიმრეს.

✦ პოლიციის მე-9 ნაწილში პოლიციელებს სოფიო მიკირტიჩიანცის ბინაზე აღმოუჩენიათ რკინის გზის ტფილისის სადგურიდან მოპარული ნივთები სულ 200 მანეთისა. მიკირტიჩიანცი დააპატიმრეს და გადასცეს ჟანდარმებს საქმის გამოსაძიებლად.

ქუთაისის ახალი ამბები

✦ აგერ ოთხი-ხუთი თვე იქნება, რაც გზათა უწყება შეუდგა ბაღდად-ზეკარ აბასთუმნის გზა-ტკეცილის შეკეთებას. ეს გზა იწყება ქუთაისში საურთიერთო საკრედიტო ბანკიდან, გაივლის შუა ბალახვანს და, სანამ სალორიას გასცილდებოდეს, ბალახვანის ქუჩა ჰქვია. „ცნობ. ფურც.“-ში დაბეჭდილი იყო და ახლაც უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს გზა მეტად სამწუხარო სანახაობას წარმოადგენს. ჯერ აქეთ-იქით გვერდები მოუკირწყლეს რიყის ქვით და შუაგული უნდა დატეხილი ქვითა და ქვიშით ამოევსოთ, მაგრამ, როგორც მოგახსენეთ, აგერ მეხუთე თვე მიდის და ამ ამოვსებას არა ეშველა-რა: გზა ისე გაფუჭებულია—წვიმის დროს ნავით სასიარულო ხდება. ერთი მხრიდან მეორესაკენ კაცი ვერ გადასულა: ეტლი ისე ვერ გაივლის, სადმე არ აყირავდეს.

ეხლა მოახლოვდა სწავლის დრო. ადვილად წარმოსადგენია, რა შეწუხებაში იქმნებიან ქალთა საეპარქიო სკოლის მოსწავლე ქალები, რადგან ბალახვანის ქუჩის თითქმის ბოლოშია საეპარქიო სასწავლებელი. სწორედ „ჯოჯოხეთის გზაო“, რომ იტყვიან, ამ ქუჩაზე ითქმის. ჩვენ გამოვიკითხეთ, რა მიზეზია ამ ქუჩის შეკეთებას რომ არა ეშველა რა აქამომდე, და მიზეზად მოიჯარადრე დაგვისახელეს: თურმე ეს ვაჟბატონი უკმაყოფილოთ ყოფილა თავისს მუშებთან და ამათაც მუშაობა შეუჩერებიათ.

როდის ეშველება ამ ქუჩაზე მოსიარულეთ აქ უწესოების მოსპობა, ჩვენ არ ვიცით, მხოლოდ ის-კი მართალია, რომ ეს მდგომარეობა ჯერ კიდევ კარგ ხანს გასტანს, რადგან ამას იქით უამინდობაც ხელს შეუშლის, მუშაობაც რომ მოინდომონ.

✦ კარგა ხანია, რაც ქ-ნ ს. გოლოვინასას ნათხოვი ჰქონდა ოზურგეთში პროგიმნაზიის გახსნა. ნება-რთვა ამ დღეებში მოუვიდა ქ-ნ გოლოვინისას, რომელიც 21 აგვისტოს კიდეც წავიდა ოზურგეთს სახლის დასაქირავებლად და სხვა თადარიგის დასაჭერად, რადგან 1-ლ სექტემბრიდან უნდა პირველი კლასი მაინც გახსნას და სწავლაც დაიწყოს.

✦ ყოვლად-სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოს ლეონიდეს, რომელიც აგერ სამ თვეზე მეტია თავის სამწყსოს სარევიზიოდ არის წასული, ქუთაისში მოელიან ამ თვის ბოლო რიცხვებში.

✦ 22 აგვისტოს ქუთაისის საოლქო სასამართლომ გაარჩია საქმე სოფელ მუღას (ლეჩხუმშია) მცხოვრებლების გლეხთა ნესტორ ჟორჟოლიანისა და ფილიპე შერვაშიძისა, რომელთაც შემდეგი ბრალი ედებოდათ: 1981 წლის 29 ივლისს ლეჩხუმის გზაზე ჩალვადრებს მიჰქონდათ ქუთაისის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარის ბ-ნ ბოგოროდსკისა და სხვების ბარგი და ეს ჩალვადრები გაძარცვეს, ზოგიც მათგანი დასჭრეს. მეორე ბრალი: ბოქაულის ნიქოლაძის მოკვლა განიზრახეს და სამსახურის ასრულების დროს წინააღმდეგობაც გაუწიეს.

სასამართლომ ჟორჟოლიანი და შერვაშიძე დამნაშავედ იცნო და ყოველივე უფლების ჩამოხდით რვა-რვა წლით კატორგაში გაგზავნა მიუსაჯა.

ამავე დღეს საოლქო სასამართლომ იმავე ნესტორ ჟორჟოლიანის კიდევ ორი სხვა საქმე გაარჩია პირველი: სოფელ მუღას მცხოვრების ალექსანდრე განგანის მოკვლის განზრახვა; მეორე, ჟორჟოლიანს სხვა დანაშაულობისათვის ღირსება ჩამოხდილი ჰქონდა და ციმბირს იყო გაგზავნი-

---

ფელეტონი

ლაზისტანი

ადგილ-მდებარეობა. -მეურნეობა ვაჭრობა.—მცხოვრებთა რაოდენობა.—ენა.—სასულიერო წოდება.—სკოლები.—ლაზური და ქართული ენა.—ჩხალის ხეობა.—სოფლები ამ ხეობისა.—სახელები და გვარები.—თქმულება ლაზების შესახებ.—ზეპირ სიტყვიერების შეკრება და ლაზებთან დაახლოვება.

ბერძენთა და რომაელთა მწერლები ძველ ლაზისტანის შესახებ ბევრს ცნობებს მოგვითხრობენ, სამაგიეროდ თითქმის არაფერი ვიცით დღევანდელ ლაზისტანის მდგომარეობის შესახებ და არცა ვცდილობთ ამ არ-ცოდნის თავიდან აცილებას. გვსურს ამიტომ მოკლედ ავწერო ლაზისტანი და იქ მცხოვრებთა მდგომარეობა, რაიცა, ვგონებ, ყველასათვის საინტერესო უნდა იყოს.

ლაზისტანი იწყება მაქრიალიდამ და აღწევს თითქმის ტრაპიზონამდე. მაქრიალი მდებარეობს ზღვის პირად, ბათუმიდან 25 ვერსის მანძილზე.

ლაზისტანი ოსმალეთმა სრულიად დაიმორჩილა 1629 წელს. ამ დროიდან შეუდგა იგი ისლამის გავრცელებასაც. ლაზები სცხოვრობენ 200 ვერსის მანძილზე, შავი ზღვის პირად მდებარე დაბებსა, სოფლებსა და ქალაქებში. უმთავრესად ლაზები მისდევენ სასოფლო მეურნეობას, ვაჭრობასა და ხელოსნობას. განსაკუთრებით განთქმულნი არიან სახლების შენებით, დურგლობითა და კალატოზობით. ნავოსნობაც კარგად იციან. საქართველოს მეფეების დროს შავ-ზღვაზე ნავოსნობას მარტო ლაზები და ლივანელები მისდევდნენ; გემებსაც კი ისინი აკეთებდნენ.

ლაზისტანის მცხოვრებთ ქრისტიანობა მე-18 საუკუნის ნახევრამდე მთლად დაჰკარგეს და ისლამი იწამეს. ქრისტიანობის დაცემასთან ერთად ლაზისტანში დაეცა და განადგურდა ძველი ქრისტიანული ნაშთები და ტაძრები. დღეს კაცი მთელს ლაზისტანში იშვიათად შეჰხვდება ქართველთ მფლობელობის დროის ნაშთს. იმ თითო ორ-ოლა ნაშთს, რაც დროთა ბრუნვას გადარჩენია, მცხოვრებნი თამარ მეფის ნაშენად აღიარებენ. ნახევარ ლაზისტანში თამარ მეფის სახელი დღესაც კარგადაა ცნობილი. დაავიწყდათ ჩვენი სახელოვანი მეფე უფრო ტრაპიზონისაკენ მცხოვრებ ლაზებს.

ლაზისტანი ემორჩილება ტრაპიზონის ფაშას (გუბერნატორს). ტრაპიზონი საგუბერნიო ქალაქია. ლაზთა ყოველივე საყურადღებო და თვალ-საჩინო საქმე ტრაპიზონში ირჩევა, ამასთან იქვე თავდება, ასე რომ იშვიათია, რომელიმე საქმემ სტამბოლამდე მიაღწიოს. ორისავე სქესის ლაზთა რიცხვი 150 ათას სულამდე ადის. ისინი თვალსაჩინოდ მრავლდებიან. სამწუხაროდ, ოსმალეთის მთავრობა ხელს უწყობს იმათ რიცხვის შემცირებას, რადგანაც ჯარის-კაცებს ხშირად ისეთ ქვეყნებში ჰგზავნიან, საიდანაც ლაზები სამშობლოში ველარ ბრუნდებიან. ამას გარდა ლაზთა შვილების სყიდვა და მოტაცებაც ხშირია, რადგანაც ლაზებს ლამაზის ხალხის სახელი აქვთ გავარდნილი.

ლაზური ენა მკიცედაა დაცული ლაზისტანში. ყველა ლაზი სახლობაში ლაზურად ლაპარაკობს; განსაკუთრებით ქალებმა იციან კარგად და სუფთად ლაზური ენა. ოსმალური ენაც მიღებულია, თუმცა ხშირად ზოგ მეჯლისში ქალებიც კი ლაზურად ლაპარაკობენ. თვით „ყურანის“ ძალით სხვა და სხვა საქმეთა გარჩევა ხშირად ლაზურად სწარმოებს. „მეჯლისი“ და ყადი თითქმის ყველა სოფელშია. ემორჩილებიან ისინი ქალ. ირიზეს მუთესერიფს და იმასთან მყოფს მუფთს და მის გამგეობას. მთელის ლაზისტანის უფროსი მუფთი ტრაპიზონში სცხოვრობს.

ლაზთა სასულიერო წოდებას თვით ლაზების შთამომავალნი შეადგენენ. მოლებად და ხოჯებადაც ბევრი ლაზია. უმეტეს ნაწილად სასულიერო სწავლა-განათლება მოლებსა და ხოჯებს სტამბოლში აქვთ მიღებული. ზოგს მოპოებულიც აქვს ღვთის მეტყველის ანუ ხაფიზას სახელიც. ფანატიკოსობას ძლიერ აქვს ლაზისტანში ფესვი გადგმული. ხშირად ფანატიკოსობაში ლაზები ნამდვილ თათრის მოლებსა და ხოჯებსაც სჯარბობენ. ბევრგან არსებობს სამრევლო სკოლები, სადაც მასწავლებლობას ეწევიან მოლები და ხოჯები. სწავლა სწარმოებს არაბულს ენაზე; უმთავრესად ასწავლიან ზეპირად ლოცვებსა და „ყურანს“. აღზრდის წესი ოსმალურია, ხშირად წკეპლასა და ეკლიანს ჯოხებსაც ხმარობენ. ლაზთა ბავშვებს ძალიან უჭირდებათ ამნაირ „სისტემაზედ“ სწავლა და ხშირად ისინი 5 წლის განმავლობაში მარტო არაბულს ანბანს ძლივს ითვისებენ. ამ სკოლაში მოლები ფანატიკობას ბავშვებს პატარაობითვე უნერგავენ.

ლაზური ენა ძალიან წააგავს ქართულს. ერთ ალაგას ვნახე ლაზელი დურგლები. სახლის შენების დროს, როდესაც კოჭები აჰქონდათ, ეს ლაზები მთელ ქართულ წინადადებას ხმარობდნენ და ხშირად იძახდნენ, მაგალითად: „ცოტა კიდევ“, „ცოტა კიდევ“ და სხვას. ნახევარი სიტყვები ლაპარაკისა ქართულია. ლაზებმა კარგად იციან, რომ ქართველები და მეგრელები იმათი მონათესავენი არიან.

რუსეთის ხელში ლაზისტანისა დღეს მხოლოდ ერთი სამამასახლისოა, სახელდობრ, ჩხალის ხეობა. მხოლოდ ამ ხეობის ლაზები ეკუთვნიან რუსეთის იმპერიას, დანარჩენ

დი, მაგრამ იქიდან გამოიპარა და სამეგრელოში იმალებოდა ჯაფარიძის გვარით. მერე სამეგრელოდან სვანეთს გადმოსულა და აქ იმალებოდა, დაჭერის დროს, ბოქაულს ჩიქოვანს და საერობო დარაჯის ოფიცერს სამსახურის ასრულების დროს შეიარაღებულმა წინააღმდეგობა გაუწია.

ამ ორის დანაშაულობისთვის სასამართლომ მიუსაჯა ეოგელიძე ღირსებისა და უფლების ჩამორთმევა და თორმეტის წლით კატორგაში გაგზავნა.

✦ ქუთაისის პოლიცმეისტერი ბ-ნი ლისოვსკი დაბრუნდა 21 აგვისტოს და თავის მოვალეობის აღსრულებას შეუდგა.

✦ ქუთაისს ბოშა-ქალები ესტუმრნენ ბლომად და ისედაც ცრუ-მორწმუნეობით ძვალ-რბილში გამჯდარ სოფლის ხალხს ატყუებენ. კვირა-პარასკეობით, როცა ხალხი ბლომად შემოდის ქუთაისში, ბოშები ქუჩებში ჩამოემწკრივებიან და სოფლის ხალხს თავიანთკენ იწვევენ: გაუგებარის ენით რაღაცას ჩურჩუტობენ და ბოლოს ისეთს წამალს ჰპირდებიან, არასოდეს შენს ოჯახში არც არავინ ავად გახდება და არც არაფერი დაგეკარგებათ. გულ-უბრყვილო ხალხს ყველა ეს ჯერა და ზოგი აბაზს აძლევს, ზოგი მეტს, ზოგიც ნაკლებს. ბოშები წვრილად დაჭრილ რაღაც თმას უხვევენ მხვარში და ეუბნებიან—კისერზე მაგრად გამოიკარით.

ქუთაისის ქუჩებში უხელოსა და უფეხოს არ უშვებენ და ეს მაწანწალა ხალხი თავისუფლად თარეშობს ქალაქში და საწყალ ხალხს სცარცვავს და ცრუ-მორწმუნეობასაც ავრცელებს.

საჭიროა, ამ გარემოებას ეხლავე ყურადღება მიექცეს, რადგან ბოშა ქალების რიცხვი დღითიდღე მრავლდება ქუთაისში: შემოდგომა მათი მოძრაობის სეზონია.

✦ ჩვენ გვთხოვენ დავბეჭდოთ შემდეგი გასწორება:

პატივცემულ „ცნ. ფურცლის“ ქუთაისელი მემატიანე ამას წინეთ ქუთათურ ახალ ამბებში, სხვათა შორის, მოგვითხრობდა, რომ „ქუთაისის მეაბრეშუმეთა ამხანაგობას„ განზრახვა აქვს ყურადღება მიაქციოს სოფლელთა აბრეშუმის და ქსოვილების გაყიდვის საქმესო. დღევანდელ (13 აგვ.) ნომერში კიდევ ვკითხულობთ: „მოახლოვდა ბამბის შემოტანის დროც და „ქუთაისის მეაბრეშუმეთა ამხანაგობის“ გამგეობაც შეუდგა იმის თადარიგს, რომ ეს საქმეც გააწესრიგოს.— „რომ ეხლავე შეიძინოს ბამბის საქაჯავი და სოფლად აგენტები გაჰგზავნოს და ხალხს აცნობოს, რომ „ქუთაისის მეაბრეშუმეთა ამხანაგობა“ ბამბასაც კარგ ფასებში ჰყიდულობსო“ და სხვა. ამ ამხანაგობის გამგეობის წევრთა კორრესპონდენტისაგან დასახელებამ დაგვარწმუნა, რომ ეს კეთილი განზრახვები ეკუთვნის „ქუთაისის სამეურნეო ამხანაგობას—„კოლხიდას“, და არა რომელიდაც „მეაბრეშუმეთა ამხანაგობას“. სახელების ასეთს არევ-დარევას შეუძლია გზა დაუბნიოს, ჩვენების ნაცვლათ, მას, ვისაც უნდა ამ ცნობებით ისარგებლოს, რადგან არსებობს მეორე ამხანაგობა ამ სახელით: „ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველი ამხანაგობა“. ისედაც ფოსტის დამკარგებელთ, თუ წერილების გამომგზავნთ, შეცდომა მოსდით წერილების დანიშნულებისამებრ ჩაბარებაში, თუ ადრესის წარწერაში.

რუსეთის ქრონიკა

✦ ამ ცოტა ხანში მთავრობა გამოაქვეყნებს სატელეფონო წესდებას, რომელიც დღემდე არ იყო რუსეთში. წესდების ძალით, ნება ეძლევათ მსურველთ ქალაქებსა და ქალაქსა და სოფლებს შორის გამართონ ტელეფონები.

✦ როგორც ვუწყით, მთავრობამ პეტერბურგის თვით-მმართველობის რეფორმა განიზრახა. ამბობენ, თებერვლამდე შეიმუშავებენ ახალ დებულებასაო. თებერვლამდე მოხდება ხმოსანთა არჩევნები. სამინისტრომ გადასწყვიტა არ დაუცადოს ახალ დებულების შემუშავებას და რეფორმამდე გაჰგზავნოს პეტერბურგის გამგეობაში მოხელე, რომელიც გამგეობის ყოველ კრებას უნდა დაესწროს ხოლმე.

✦ გზათა სამინისტროს აზრადა აქვს შეიმუშაოს ერთი ტიპი სარკინისგზო საავადმყოფოებისა. უკვე შესდგა კომისია ამ საქმისათვის.

დიდი ცვლილებანი მომხდარა კოსტრომის სასულიერო სემინარიაში. დაითხოვეს ამ სემინარიიდან რექტორი, ბერძნულის ენის მასწავლებელი და ინსპექტორის რამდენიმე თანაშემწე. თვით ინსპექტორი სხვაგან გადაიყვანეს მასწავლებლის ადგილზე. განვლილ ზამთარს უწმ. სინოდიდან გამოგზავნილმა კაცმა რევიზია მოახდინა ამ სემინარიაში და ცვლილებანი ამ რევიზიას მოჰყვა.

✦ გზათა მინისტრის მოხსენებით, რუსეთის მისასვლელ გზებზე, ყველგან, სასანიტარო ნაწილები უნდა დაარსდეს.

უწმ. სინოდმა ხელ-ახლა მოახდინა განკარგულება, რომ სასულიერო სემინარიებში განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ გალობას. გალობას ისეთი მნიშვნელობა აქვს ეხლა სემინარიაში, როგორც უმთავრეს საგნებს.

პრესსა

„ვინ არ იცის, რა მძიმე ტვირთი აწევს რუსეთში ფოსტალიონსაო“? ჰკითხულობს გაზ. „რუსკ. ვერომ.“ და მართლაც მძიმეა ამ დაბალ მოხელეთა უღელი, მეტადრე დიდ ქალაქებში. დატვირთული მრავალის წერილებითა და გაზეთებით, დილიდან საღამომდე ფოსტალიონი გაივლის რამდენსამე ვერსტს და დაქანცული ბრუნდება სახლში, რათა, მცირე შესვენების შემდეგ, კვლავ შეუდგეს ამ მძიმე საქმეს. მერე რითი ჯილდოვდება მისი შრომა? ორიოდე გროშით, რომელიც არა თუ შავი დღისათვის არ გადაიდება, ყოველდღიურ საჭიროებასაც ვერ აკმაყოფილებს. ბევრჯელ მიუქცევია პრესას ყურადღება ამ მოხელეთა მდგომარეობისათვის, ბევრჯერ უთქვამს, რომ დროა ფოსტალიონთა ჯაფა შემცირდეს და ჯილდო მოემატოსო, მაგრამ მათ მდგომარეობის გაუმჯობესებაზე არც არავინ იწუხებს თავს. ჟურნალ „ნაროდნ. ხოზ.“-ს უკანასკნელ №-ში ამ საკითხს უბრუნდება ცნობილი მწერალი ზასოდიმსკი, ნათლად გვისურათებს „კულტურის მსხვერპლთა“ უმწეო მდგომარეობას და ჰკითხულობს: „როდისღა იფიქრებენ ვისიც ჯერ არს ფოსტალიონთა მდგომარეობის გაუმჯობესებაზე“?!.

⁂

ამ დღეებში ჩვენ დავბეჭდეთ საერო განათლების მინისტრის ცირკულიარი მოსწავლეთა ფიზიკურ აღზრდის შესახებ. „რუსსკ. ვედომ.“ იხილავს ამ საყურადღებო ცირკულიარს და აღნიშნავს, რომ მინისტრის მიერ ნაჩვენები ღონისძიებანი უთუოდ სასარგებლონი იქმნებიან, მაგრამ მათ განხორციელებისათვის საჭიროა გადიდდეს ხაზინიდან სწავლა-განათლებაზე გადადებული ფულიო.

პრაქტიკული განხორციელება ბევრის ღონისძიებისა დამოკიდებულია იმ ფაქტორებისაგან, რომელნიც დღემდეც უშლიდნენ ჩვენს სკოლას, დღემდეც აბრკოლებდნენ მის განვითარებას. საჭიროა ბევრი ფული გადიდვას სკოლის ბევრგვარ საჭიროების დასაკმაყოფილებლად; საჭიროა გაუმჯობესდეს მასწავლებელთა მატერიალური და საზოგადოებრივი მდგომარეობა; საჭიროა განახლდეს სკოლის ცხოვრება, რათა სკოლამ დაიმსახუროს მშობელთა და საზოგადოების ნდობა; მაშინ, მხოლოდ მაშინ შეიძლება აღსრულდეს მინისტრის ცირკულიარი და „ხმად მღაღადებლად უდაბნოსა შინა“ არ გადიქცეს მისი მოწვევა-მოწოდება.

ყოველს შემთხვევაშიო, დასძენს გაზეთი— მინისტრის ცირკულიარს დიდი პრინციპიალური მნიშვნელობა აქვსო და ამიტომ არ შეიძლება თანაგრძნობით არ მივეგებოთ ცირკულიარში აღნიშნულ ღონისძიებათაო.

დაბა-სოფლები

ლაშხეთი (სადადიანო სვანეთი). ბევრმა წელმა განვლო მას შემდეგ, რაც ლაშხეთმა ქონებრივად დაიწია ჭინახულის მოუსავლობისა გამო. წელსაც ასეთი ბედი მოევლინა ლაშხელებს. პური, ქერი და ქუბა ნაკლებად მოუვიდათ. სიმინდი კარგია ჯერ-ჯერობით, მაგრამ უბედურება ისაა, რომ აქ აგვისტოს დასდევს რთვილსა სდებს, სიმიდებს—კი მარცვალი დასრულებული არა აქვს და სიმწიფე როდის უნდა მოასწროს. ლაშხეთს სამაგალითო მდებარეობა აქვს. ამას გარდა იგი განთქმულია წყლებით. არის აქ როგორც მჟავე, ისე რკინის წყალი (მუაშის წყლები). მაგრამ სიმდიდრესაც მოხმარება უნდა. მუაშის წყლების სიკარგე სვანეთს გარეთაც ბევრმა იცის. სამწუხაროდ, მოწყობილი არ არის ეს სამკურნალო წყალი და სააგარაკო ადგილი. სულ ხუთი სახლია, ისიც ისეთი, სადაც ზაფხულობით შეიძლება მხოლოდ ცხოვრება. ბევრი მოაგარაკე და წყალზე სამკურნალოდ მოსული იძულებულია ფაცხა მოიღობოს და დადგეს. ზემო აღნიშნულ შენობების წინ ამოჩუხჩუხობს სასმელი წყალი. რკინის წყალი კი ცოტა მოშორებით არის, მაგრამ სიშორემ თქვენი ჭირი წაიღოს: მიხვალ დილის 10 საათზე და პირველ საათამდე ვერც-კი ეღირსები ბანაობას. ბევრი უბანელადაც ბრუნდება. სულ ორი ნომერია თითო ხის განნით, ერთი თბილის, მეორე ცივის წყლისათვის. ერთად ერთი ქვაბია, რომლითაც რამდენჯერმე უნდა გაათბონ წყალი.

ძლიერ ბევრს უნდა ისარგებლოს სვანეთის ჰაერითა და წყლებით, მაგრამ გზების უვარგისობა და სახლების უქონლობა დიდად ხელს უშლის. ეს მამული უგან. თავად მინგრელსკის ეკუთვნის. დარწმუნებული ვართ, თავადმა არ იცის ასეთი მოუწყობლობა სამკურნალო წყლებისა, თორემ აქამდინ ყურადღებას მიაქცევდა და შეაკეთებდა. რაიცა შეეხება ლენხუმსა და ლაშხეთს შორის გადასასვლელ გზებს, საჭიროა შეკეთდეს როგორც ლენხერისა, ისე აშარის გზები. სამწუხაროდ, ძნელი მოსაძებნია ისეთი კაცი, რომელმაც ამ საქმეს ყურადღება მიაქციოს.

ლაჯღანელი ზანოვანი

წერილი ნახიჩევანიდან

ნახიჩევანი და იმისი მაზრა.—სწავლა-განათლება.— ბალი.—ავქ. ცაგარლის გარდაცვალების ამბავი

ნახიჩევანი მდინარე არაქსზე შვიდის ვერსის მანძილზე მდებარეობს. ქალაქს სამის მხრიდან ტიტველა მთები არტყია- უსწორ-მასწორო ქუჩებითა და მტვერით განთქმულია ჩვენი ქალაქი. ოთხი თვეა წვიმა არ მოსულა აქ. „ცნობ. ფურცელ.“-ში (14 აგვისტოს) წავიკითხეთ, რომ „ნახიჩევანში ნიაღვარმა გაათუჯა ყველაფერიო“. რომელ ნახიჩევანში მოხდა ეს ამბავი, აღარ ვიცით.

მცხოვრებთა უმეტეს ნაწილს თათრები და სომხები შეადგენენ. რუსები და ქართველები ძლიერ ცოტანი არიან, მეტადრე ქართველები. საინტერესო ნახიჩევანის მაზრის ცხოვრება: ისე დღე არ გავა, რომ ვინმე არ მოჰკლან ან არ დაჰჭრან. თვით ნახიჩევანში-კი ცხრა თვეა, რაც უბრალო ჩხუბიც არ მომხდარა. ქურდობა ხომ სულ არ არის ქალაქში.

სწავლა-განათლების მხრივ ნახიჩევანი ჩამორჩენილია. უნდოდათ დაეარსებინათ აქ კერძო პროგიმნაზია. ამისთვის ჩამოვიდა ტფილისის მეორე გიმნაზიის მასწავლებელი ბ-ნი რ., მაგრამ საქმე მაინც ვერ მორიგდა. გასაკვირველიც არ არის: 20 წელიწადზე მეტია აქ არსებობს საქალაქო სასწავლებელი და თუმცა გადასახადიც მცირეა (15 მან), მაგრამ მოსწავლეთა რიცხვი მაინც 150-ს არ აღემატება.

ერთად ერთი გასართობი აქ ბულვარია (ბაღი). ეს ბაღი შესამჩნევი რამ არის. იგი უფრო დაბურულ ტყეს წარმოადგენს, ვიდრე ბაღს. უზარმაზარი ხეები და მშვენიერი ხეივნებია შიგ, რაც უნდა ცხელოდეს, აქ გრილა. აქვე „საზოგადო კლუბი“ და კვირაში ორჯელ სამხედრო მუსიკა უკრავს. კვირა-უქმეობით საცეკვაო საღამოებიც იმართება. კლუბში სამკითხველოა, რომელსაც მოსდის სხვა-და-სხვა ჟურნალ-გაზეთები, მათ შორის „ივერიაც“.

წელს ქიშმიშის ყურძნის მოსავალი კარგია. ფუთი მანეთად ჰფასობს.

ძალიან შეაწუხა ადგილობრივი ქართველობა ავქსენტი ცაგარლის უდროოდ გარდაცვალებამ. სიშორის და ფოსტის დაგვიანების გამო ეს სამწუხარო ამბავი მხოლოდ დღეს შევიტყეთ.

ა. გან—გი

ლაზისტანის მცხოვრებნი ოსმალეთის ქვეშევრდომნი არიან. ზემოხსენებულ ჩხალის ხეობაში ლაზთა სოფლები ერთ სამამასახლისოს შეადგენენ. ეს სამამასახლისო მიწერილია ლივანის ანუ მარადიდის საბოქაულოზედ.

აი იმ სოფლის სახელები, სადაც ლაზები სცხოვრობენ:

1) დაკვარა, 5 კომლი; წინად მეტნი იყვნენ, მაგრამ რუსთაგან დაკავშირების დროს ბევრნი ოსმალეთის ლაზისტანში გადასახლდნენ.
2) ოხორდია, 10 კომლი, ზოგი წავიდა.
3) კორტანეთი, 15 კომლი, ზოგი წავიდა.
4) ბელლევანი, 20 კომლი, ზოგი წავიდა.
5) პანჩერეთი, 15 კომლი, ზოგი წავიდა.
6) სუჯუნა, 5 კომლი, 55 კომლი გადასახლდა.
7) მამანათი, 30 კომლი.
8) სკურჩე, 5 კომლი, ზოგი წავიდა.
9) მაკრეთი, 15 კომლი, ზოგი წავიდა.
10) გიდრავეთი, 8 კომლი, ზოგი წავიდა.
11) მაჰათი, 10 კომლი, ზოგი წავიდა.
12) გაბრიელა, 5 კომლი.
13) ლუსკოი, 60 კომლი.
14) სარფი, 40 კომლი, ზღვის პირად მდებარეობს.
15) ლიმანი 20 კომლი.
16) მაქრიალი, 20 კომლი.

არის სხვა პატარა სოფლებიც, რომელთაც არ ვასახელებთ, რადგანაც იქ მცხოვრებთა რიცხვი ორ-სამ კომლს არ აღემატება. ჩხალის ხეობიდამ ოსმალოს ლაზისტანში მშვენიერი გზები გადადის. ლაზებს გადააქვთ და გადმოაქვთ ლიმონი, ფორთახალი, ზეთის ხილი, ლეღვი და სხვა ხილი.

როგორც ჩამოთვლილ, ისე სხვა სოფლების სახელები ლაზისტანში ქართულია. ამ გვარ სახელის სოფლებს კაცი თვით ტრაპიზონამდე შეჰხვდება. თითო-ოროლა სოფელს გადაუსხვაფერებია ქართული სახელი და ოსმალური დაურქმევია. მთების, ღელეების, მდინარების და სხვათა სახელებიც ზოგგან ძველია დარჩენილი, ზოგგან-კი გადასხვაფერებულია.

ცვლილებას არც თვით ხალხი ასცდენია. ლაზურ ანუ ქართულ სახელს თითქმის აღარც ერთი ლაზი აღარ ატარებს დღეს. ძველი ქართული გვარიც ზოგს შეუნარჩუნებია, ზოგს-კი ოსმალურად გადაუკეთებია. მაგალითად, ქურდიანი დღეს ქურდოღლად იხსენიება, მარგიანი—მარაგოღლად, მარიამიძე—მაიროღლად და სხვ.

როგორცა ვთქვით, ლაზებმა კარგად იციან, რომ მეგრელები და ქართველები იმათი მონათესავენი არიან, ამიტომ ოსმალელი ლაზები ხშირად გადმოდიან ჩვენსკენ და აქა სცხოვრობენ. ლაზების შესახებ შემდეგი თქმულებაა, დარჩენილი. ძველად, სოხუმიდამ მოყოლებული ტრაპიზონამდე, ზღვის პირად, სულ მეგრელები და ლაზები სცხოვრობდენ. მხოლოდ შემდეგ ხანებში ქართველ მეფეთა ბრძანებით აჰყარეს ბათუმიდან ფოთამდის მცხოვრები ლაზები და საქართველოს სხვა კუთხეებში გადაასახლეს, ხოლო იმათ მაგიერ ზღვის პირად დაასახლეს ქართულად მოლაპარაკენი, რომელთაგანაც გურულები წარმოსდგნენო. ლაზები თავიანთ ვინაობის შესახებ სხვა ძველ ამბებსაც გადმოგვცემენ, თუმცა ისლამის ზე გავლენით და ხოჯებისა და მოლების წყალობით ძველი თქმულებანი დამახინჯებული და შეცვლილია ლაზებს საკუთარი სიმღერები აქვთ, ზღაპრები, ზეპირ-გადმოცემანი, ლეგენდები, არაკები და სხვანი.

ლაზს ძლიერ უხარიან, როდესაც ლაზურის ენის მცოდნე შეჰხვდება. იგი ადვილად უმეგობრდება და უკავშირდება იმ პირს, ვინც კი მისი ენა იცის. კარგად ესმის, რომ თუმცა სჯულით ოსმალოა, მაგრამ ტომით ლაზია, ქართველის მონათესავე. მე დარწმუნებული ვარ, რომ ლაზი თავის ენას დიდ-ხანს არ დაჰკარგავს, თუმცა ყველგან გარეშემო ოსმალური ენაა გამეფებული.

ლაზთა ცხოვრების შესახებ ბევრი რამ უნდა გვეთქვა, მაგრამ გარემოება ნებას არ გვაძლევს. ლაზისტანის ანუ ჭანეთის ვრცელი აღწერა უკვე მომზადებული გვაქვს და გვინდა ცალკე წიგნად გამოვცეთ.

დასასრულ, ორიოდე სიტყვას ლაზებსა და ჩვენს ურთიერთობაზე მოგახსენებთ. ლაზებთან ჩვენი დაახლოვება მეტად ძნელია, რადგანაც ისინი ოსმალოს სამფლობელოში არიან, ხოლო ოსმალნი მაგრე რიგად არ შეგვიშვებენ: ლაზისტანი სავსეა ფანატიკ მოლებით, ხოჯებით და ხაფიზებით. ყოველ შემთხვევაში ამ ჟამად უმთავრესი ყურადღება ლაზურის კილოს შესწავლას უნდა მივაქციოთ. ენის შესწავლისა და ლაზთა გაცნობის შემდეგ აქედანაც შეგვიძლიან ვიქონიოთ მცირეოდენი გავლენა, შეგვიძლიან მოვიპოვოთ იმათი ნდობა და ნელ-ნელა ქართული ენაც აღვადგინოთ.

ვიმეორებ, საუკეთესო სახსრად და ლაზთა დასაახლოვებლად მათის ენის შესწავლა უნდა ჩაითვალოს და ამ ენით იმათთან საუბარი, საქმის დაჭერა. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ექმნება, თუ ლაზთა სახალხო სიტყვიერების მასალებს შევკრებთ და ქართულის ასოებით დავსტამბავთ. არაბული ანბანი იმათ ხმათა მრავალგვარობას ვერ აკმაყოფილებს, ქართული-კი ზედ გამოჭრილია. ლაზს ძრიელ წაახალისებს და გაახარებს, როდესაც თავის გარდმოცემებს და სხვა ცნობებს ქართულის ასოებით დასტამბულსა ჰნახავს. უკვე ვსცადე ესა და უნდა მოგახსენოთ, რომ დიდი გავლენა იქონია ლაზებზედ.

ჩემის აზრით, ზეპირ-სიტყვიერების შესაკრებად ლაზისტანში მეგრულის ენის მცოდნენი უნდა ვიყოლიოთ.

ზ. ჭ.

წერილი საჭილოვოდან

სასოფლო-მეურნეობა ჩვენში.—ისევ ქურდ-ბაცაცები.—მკიხავ-მარჩიელის მოქმედების ნაყოფი.—ჭირნახული.

ჩვენი, იდოის, საზოგადოება, რომელიც შესდგება თითქმის რვა-ას-ორმოცდა-ათის კომლისაგან, სამწუხაროდ, სასოფლო-მეურნეობის მხრივ ბევრად ჩამორჩენილია. ჩვენ არ მივსდევთ მევენახეობას, მებაღეობას და მებოსტნეობას, რომელსაც შეუძლიან ყოველ ოჯახს კარგი შემოსავალი მისცეს; არ ვეტანებით ამას, სხვა მრავალ მიზეზთა შორის, იმიტომაც, რომ მუშაობა რიგიანად არ ვიცით. თორემ საზოგადოდ ჩვენ ადგილებში, შედარებით, ძალიან კარგი ნიადაგია და ყოველ გვარ მცენარის კულტურა შეიძლება, ჩვენ მარტო სიმინდის თესვას მივსდევთ. ეს არის და ეს. არ ვიცით და არცა გცდილობთ, შეიძლება თუ არა სხვა რამის დამუშავება ჩვენს მამულებში; ჩავცივებივართ სიმინდის მუშაობას, თავს ვაკლავთ და უსაზღვრო შრომას ვეწევით, სარგებლობას ვერა ვხედავთ, მეტადრე მას შემდეგ, რაც სიმინდის ფასმა მეტის-მეტად დაიწია.

ეჭვი არ არის, სიმინდის მუშაობასთან ერთად დიდს სარგებლობას მოუტანდა ჩვენს საზოგადოებას სასოფლო-მეურნეობის ზემოხსენებული დარგნი, მაგრამ ჯერ ჩვენს სოფლებში არავის დაუწყია ბაღ-ბოსტნის მუშაობა და არც მევენახეობა. ყველამ ვიცით, რომ მევენახეობა დიდის სარგებლობის მომტანია ოჯახისათვის, მაგრამ ჩვენის სოფლების მცხოვრებთ ჯერ-ჯერობით აზრადაცკი არ მოსვლიათ, რომ ხელი მოჰკიდონ სასარგებლო საქმეს.

ქურდ-ბაცაცები ჩვენს საჭილავოში არ იქნა დ არ ისვენებენ. ამ ორის კვირის წინად ერთს ისედაც გაჭირვებულს და ღარიბ გლეხს, უტუ ბარათელს, მიეპარნენ და ცოლ-შვილის მარჩენალი ხარები მოჰპარეს. გლეხმა, რომელიც სახლის დერეფანში იწვა, ჩქარა გაიგო. რა შეამჩნიეს ქურდებმა, რომ პატრონს გამოეღვიძა, სისწრაფით გავიდნენ ეზოს, დაჰკრეს ხარებს შოლტი და გაარბენინეს. გლეხმა მორთო ამ შუაღამისას ყვირილი და მალე მთელი სოფელი ფეხზე დადგა; მორთეს აგრეთვე ეკკლესიის ყარაულებმა ზარების რეკა, ასტეხეს ერთი კიჟინა და აურ-ზაური. ქურდებმა ხარები მაინც არ გაუშვეს, მაგრამ, რა დარწმუნდნენ, მდევრები მოგვდევენო, ხარებს თავი ანებეს და სადღაც ტყეში, მდ. ცხენის-წყლის ნაპირას, მიიმალნენ. ბევრი ეძებეს სოფლელებმა, მაგრამ მათი ასავალ-დასავალი ვერ გაიგეს.

მეხუთე ღამე კვლავ ეწვივნენ ჩვენ საჭილავოს ეს ვაჟ-ბატონები: გლეხს იაგორ ხუდავას ერთად ერთი მეწველი ძროხა ჰყავდა და ისიც ხელიდან გამოაცალეს.

მკითხავ-კუდიანობას ჩვენს სოფელში თაყვანის მცემელი ჯერ კიდევ ბევრი ჰყავს. ამ რამდენისამე დღის წინად ჩვენს სოფელში ერთ კაცს ვაჟი მოუკვდა ხან-გრძლივ ავად-მყოფობის შემდეგ. მიცვალებულის დედა მეზობლის ქალს წაეჩხუბა. „ჩემი ვაჟი შენ მომიკალ, ცუდის თვალით შეჰხედე, როცა ცხენზე იჯდა; შენმა თვალმა გასჭრა, ჩემი შვილი ცხენმა გადმოაგდო და იმან მოჰკლაო".

ჭირნახულს ჩვენში ჯერ ჯერობით კარგი პირი უჩანს. ამინდებიც კარგია. გლეხების სიხარულს საზღვარი არა აქვს! „სხვა არაფერი გვაქვს, მაგრამ სიმინდი მაინც ბლომად გვექნება"-ო, ამბობენ ყველანი.

მიხაკო

უცხოეთის წვრილი ამბები

მარცხენა ხელის მუშაობას დიდი მნიშვნელობა აქვს. ბუნებითად ისე გაჩენილია ადამიანი, რომ მარჯვენაცა და მარცხენა ხელიც ერთნაირად შეუძლია იხმაროს. ჩვენი წინაპარი და მაიმუნი მარცხენასა და მარჯვენას არ არჩევს და ერთსაც და მეორესაც თავისუფლად ხმარობს. ამ ორი ხელის ერთნაირად ხმარებას ძლიერ დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანის სცხოვრებაში, რადგან დიდათ უადვილებს შრომას და დროსაც ბევრს ინახავს; ამიტომ ფიზიკურ აღზრდაში ამ საგანსაც უნდა დიდი ყურადღება მიაქციონ.

გერმანიამ ამ ბოლო დროს თურმე ძალიან მიაქცია ამ საგანს ყურადღება: სახელოსნო სასწავლებელში მოსწავლეს ერთნაირად ახმარიბინებენ მარცხენასაცა და მარჯვენა ხელსაც ნაჯახით, ჩაქუჩით, ხერხით, თუ სხვა. შეუნიშნავთ, რომ ყმაწვილი არსა იმდენად და არც ისე ჩქარა იღლება, როგორც მარტო მარჯვენა ხელით მომუშავენი. პატარა ქალებსაც ჭრა-კერვასა და სხვა ხელ-საქმეს მარცხენა ხელითაც ავარჯიშებენ. გერმანიის სკოლებში ყველგან უნდათ ეხლა შემოიღონ მარცხენა ხელითაც საქმიანობა—ხაზვა, ხატვა და წერაც-კი. სადაც უცდიათ ეს—ყველგან კარგი ბოლო ჰქონია.

მარცხენა ხელი თურმე ძლიერ ადვილად ეჩვევა მუშაობას და მარჯვენას არ ჩამორჩება. ხუთ-ჯერ დღეში რომ სწერო მარცხენა ხელით ან-ბანი ერთისთვის განმავლობაში, კაცი ისე ადვილად შეეჩვევა, რომ მარცხენა ხელი სულ ადვილად შესძლებს მარჯვენის მაგიერობას. განა ცოტაა მერე ჩვენს ცხოვრებაში ისეთი მაგალითი, რომ კაცს მარჯვენა დაუკარგავს და საქმიანობაც აღარ შეუძლია? აი, სწორედ ამ დროს დარწმუნდება კაცი, რა დაუფასებელია იმისათვის მუშაობას შეჩვეული მარცხენა ხელი.

* *

პ. კრიუგერის ცხოვრების ხადხარი. ტრანსვაალის რესპუბლიკის პრეზიდენტად ყოფილს პოლ. კრიუგერს, აფრიკიდან ევროპისაკენ წამოსვლის წინად, რაც ფული რამ ჰქონია, სულ ტრანსვაალის მაშინდელ მთავრობისათვის დაუტოვებია, ჩემს სამშობლოს მოახმარეთო. ფული 400 ათასი მანეთი ყოფილა. ადგილ-მამული, ორი პატარა ნაჭერის გარდა, კრიუგერს თავისს შვილებისათვის დაუტოვებია და დაუვალებია: თუ საჭაროებამ მოითხოვოს, ეს ადგილებიც ხალხის გაჭირვებას მოახმარეთო.

კრიუგერი ამ ჟამად იმით სცხოვრობს თურმე, რაც იმ ორ ნაჭერის მამულისაგან ფული შემოსდის—ძლიერ მცირედის შემოსავლით.

* *

ახირებული გამოფენა. ცხოვრებაში გამოცდილი და ყოველისავე დანაკლისის აღმდგენელი ინგლისელი რას არ მოიგონებს და ასრულებს, ოღონდ ამით არავინ შეაწუხოს და სარგებლობაც მოიტანოს. ინგლისის მეფის ედუარ მე-VII გვირგვინის კურთხევის გამო წარჩინებულ ინგლისელთ მეტად დიდი ხარჯები მოუვიდათ, განსაკუთრებით იმ წარჩინებულთ, რომელნიც სასახლეში დამსწრენი იყვნენ გვირგვინის კურთხევის დროს.

ლონდონის გაზეთები ამბავსა სწერენ სასახლის ამალის ერთ-ერთ მანდილოსანზე, რომელმაც მშვენივრად გამოიყენა საგვირგვინო ცერემონიისათვის გამზადებული მეტად ძვირფასი სამკაულები, ამ მანდილოსანმა—გვარად რაგლანი გახლავსთ—გადასწყვიტა, სწორედ იმ ტანსაცმელში და სამკაულებში, რომელშიაც იგი მეფის გვირგვინის კურთხევის დროს იყო მორთული, კიდევ მოირთვება და სახალხოდ გამოვა.

ლედი რაგლანმა მართლაც ეგრე აასრულა: ლონდონის საუკეთესო ნაწილის სახლების კედლებზე ვეებერთელა აფიშები გამოაკრეს, სადაც გამოცხადებული იყო შემდეგი: ლედი რაგლანი მიიღებს მნახველებს ბეკენჰამში საღამოს ხუთი საათიდან შვიდ საათამდე. იგი სწორედ იმ სკამზე იქნება დამჯდარი და იმ საცმელ-სამკაულებში, როგორც მეფის გვირგვინის კურთხევის დროს იყო; თავზედ გვირგვინი ექმნება, გულზედ ორდენები და ბრილიანტები. სანახავად შემოსვლა 3 პენსი ეღირება. ვისაც ფინჯანი ჩაი უნდა—ისიც 3 პენსი ეღირება.

ლედი რაგლანის განცხადებამ გასჭრა—ათასზე მეტი მნახველი მისულა და ფულიც გადაუხდია. ქ-ბნ რაგლანის ოჯახის წევრები ბილეთებსა და ფოტოგრაფიულ სურათებს ჰყიდდნენ. ფული ბლომად შემოსულა და ამ ახირებულ ქალბატონს ეს ფული ერთიანად ბეკენჰემის საავადმყოფოსათვის შეუწირავს.

* *

ფრჩხილებითაც დაუწყიათ კაცის გამოცნობა. ერთი ინგლისური სამეცნიერო გაზეთი სწერს, რომ ვინმე პრევეს ბევრი უკვლევია ადამიანის ფრჩხილი და იმ დასკვნამდე მისულა, ადამიანი ადვილად გამოიცნობა იმ ხაზებით, რომელიც ფრჩხილის გარდიგარდმო გადაუდის ხელის თითებზე. ეს ხაზები ადვილად დაინახება გამადიდებულ შუშაში.

ბ-ნ პრევეს გამოუკვლევია, რომ ფრჩხილებზე ხაზების რაოდენობას დამოკიდებულება აქვს ადამიანის ჯან-საღობას, თუ ავად-მყოფობასთან. თუ ბევრია ასეთი ხაზები ფრჩხილზე, ცუდი ნიშანია ადამიანისათვის: გადაგვარებას და ნერვების მეტად აშლას ჰნიშნავს. ბ-ნ პრევეს ისიც უანგარიშია, რომ ახლო-მახლო საავადმყოფოებში ას კაცზე ათს არა-ჩვეულებრივი ფრჩხილი აღმოუჩინა, 46 დამნავენი აღმოაჩინა, 38 იდიოტი, 98 მანიაკი, 51 ლოთი და 50 ბნედიანი.

რამდენად მართალია ბ-ნ პრევეს გამოკვლევა—ძნელია ამის თქმა, ხოლო ის-კი მართალია, ყველას შეუძლია თავის თავზე სცადოს და გამოიკვლიოს თავისიცა და მეგობრების ფრჩხილებიც.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

26 აგვისტო

ნიჟნი-ნოვგოროდი. დღეს საიარმარკო ბაირაღები დაუშვეს. უკანასკნელ დღეებს ვაჭრობა მეტად მიწყნარდა. აღმოჩნდა, რომ ძლიერ ბევრს გაუჭირდა ფულის გადახდა, ამიტომ ბევრი ვექსილი საპროტესტოდ წავა.

ბელგრადი. ოფიციალურად გამოცხადებულია, რომ ვუიჩის კაბინეტის სამსახურიდან გამოსვლის ამბავი ტყუილი ხმებია.

ნიუ-იორკი. კუნძულ გაიტას ინსურგენტების გემი „კრეტა პიერო" დაამსხვრია გერმანელ სამხედრო გემმა „პანტერა"-მ იმ დროს, როცა ის გონაის ნავთ-სადგურში შედიოდა. გემი დაიძრა, ზღვაოსნები გადაარჩინეს.

კურსკი. სადგურს ივანინოზე მოვიდა ალლუმებზე სამხრეთთა ჯარების უფროსად დანიშნული სამხედრო მინისტრი გენერალ-ადიუტანტი კუროპატკინი.

რიაზანი. გასულ ღამეს ბელგიელ საზოგადოების მაშინების საკეთებელ ქარხანის ნაწილი დაიწვა.

კრონშტადტი. კრეისერი „ჰერცოგ ედინბურგსკი„ ატლანტიის ოკიანოში წავიდა.

ტომსკი. საზოგადო განათლების საღამოს კლასების გახსნის ნებართვა მოვიდა. ამ კლასებმა უნდა მოამზადოს მოსწავლენი უმაღლესს სასწავლებლებში შესასვლელად. კლასები საშუალო სკოლის ერთ-ერთ მასწავლებლის ხელმძღვანელობითაა გახსნილი.

რიაზანი. პრედტეჩენსკი ბაზრობა გაიმართა ორის კვირით. უმთავრესი ვაჭრობა ცხენებითა და საქონლით იქნება.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა 23 აგვისტოს

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ში	94,05
ბერლინზე 100 მარკაში	46,05
პარიზზე 100 ფრანკში	37,40
ლონდონზე ჩეკები	94,75
ბერლინზე „	46,25
პარიზზე „	37,60
ბირჟის დისკონტი	$4^1/_2$—$6^1/_2$%
4% სახელმწიფო რენტა	97 გაყიდ.
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	99 მყიდ.
$4^1/_2$% შინაგანი სესხი 1893 წ.	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ.-მამ. ბანკისა	—
5% 1-ლ შინაგან სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	$466^1/_2$ გაყიდ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	$353^1/_2$ „
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	$289^1/_2$ მყიდვ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
$4^1/_2$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—
ტფილ. საადგილ-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურც.	—
$4^1/_2$% გირავნობის ფურც. ამავე ბანკისა	—
ქუთაისის საადგილ-მამ. ბანკის 6% გირ. ფურც.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია	—

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში კი—ტფილისისა)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს—1) № 1 სწრაფი—დილის 6 ს. და 45 წ. (7 ს. 43 წ.); 2) № 3 სამგზავრო—ნაშუადღევის 5 ს. 9 წ. (6 ს. 7 წ.); 3) № 5 სამგზავრო—დილის 8 ს. 29 წ. (9 ს. 27 წ.).

ბაქოს—1) № 2 სწრაფი (მხოლოდ პარასკევობით)—დილის 10 ს. 51 წ. (11 ს. 49 წ.). 2) № 4 სამგზავრო—დილის 12 ს. 36 წ. 1) ს. 34 წ.); 3) № 6 სამგზავრო—საღამოს 7 ს. 24 წ. (8 ს. 22 წ.).

ბორჯომს—№ 7—დღის 1 ს.30 წ. (ს. 28 წ.)

ყარსს—№ 74/75 საღამ. 8 ს. წ. (9 ს. 28 წ.).

ტფილისში მოდის:

ბათუმიდან—1) № 2 სწრაფი—დილის 9 ს. 4 წ. (10 ს. 2 წ.); 2) № 4 სამგზავრო—დილის 11 ს. 34 წ. (12 ს. 32 წ.); 3) № 6 სამგზავრო—საღ. 6 ს. 39 წ. (7 ს. 37 წ.)

ბაქოდან—№ 1 სწრაფი (შაბათობით)—დღის 2 ს. 45 წ (3 ს. 43 წ.); № 3 სამგზავრო—დღის 3 ს. 56 წ. (4 ს. 54 წ.); № 5. სამგზავრო—დილის 7 ს. 39 წ. (8 ს. 37 წ.)

ბორჯომიდან—№ 8—საღ. 5 ს. 59 წ. (6 ს. 57 წ.).

ყარსიდან—№ 76/77 დილის 6 ს. 20 წ. 7 ს. 18 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ტფილისისაკენ—1) № 2 სწრაფი—ღამის 10 ს. 10 წ. (11 ს. 8 წ.); 2) № 4 სამგზავრო—საღამ. 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); № 6 სამგზავრო—დილის 7 ს. 5 წ. (8 ს. 3 წ.).

გ) ქუთაისიდან გამოდის:

ტფილისისაკენ—1) ღამის 12 ს. 30 წ. (1 ს. 28 წ.); 2) ღამის 2 ს. 50 წ.(3 ს.48 წ.)

ბათუმისაკენ—1) დღის 12 ს. 55 წ. (1 ს. 53 წ.) 2) ღამის 12 ს. 30 წ. (1 ს. 28 წ). 3) დღის 3 ს. 40 38 წ. (4 ს. წ..)

შორაპნისაკენ—დღის 2 ს. (2 ს. 58 წ.).

განცხადებანი

იაფად

იყიდება სახლები, რადგან პატრონი სხვაგანა ცხოვრობს. შეიძლება მორიგდეს თითქმის ღირებულის ნახევრის ფასად. თუმანოვის შესახვევი, № 34. დათვალიერება და მორიგება—ადგილობრივ. (2—2)

ახალი წიგნი

შ. არაგვისპირელი

წიგნი მეორე

ფასი 40 კაპ.

იყიდება წიგნების გამომცემელ ქართ. ამხ. მაღაზიაში, ლორის მელიქოვის ქუჩაზე ქ. ტფილისში.

ლექსები

განდეგილისა

ავტორის სურათით,

ფასი ათი შაური,

იყიდება: ტფილისში „წერა-კითხ. გამ. საზოგ." წიგნის მაღაზიაში. ქუთაისში—ბეჟანიშვილის წიგნის მაღაზიაში. (0—15)

ცინკოგრაფია

წიგნის. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა

ვანქის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 372.

კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიული სურათებიდან და ხელით ნახატებიდან.

ქუთაისში, ვ. ბეჟანიშვილის მაღაზიაში, იყიდება „ცნობის ფურცლი"-ს №№-ბი, თითო №-რი 3 კ. დამატებით—5 კაპეკ

დიდი ოქროს მედალი

ახალი სახურავი,

რომელზედაც პატენტია აღებული

1901 წლის ქავ. სამ. გამოფენა

ფაბრიკა და საცინკო ქარხანა

ი. შელენგოვსკის და ამხანაგობისა

ბათუმში.

[illegible] და იაფი სახურავი

პლასტინები და სახურავის ყველა ნაწილები ცინკით მოკალულ რკინისა.

პრეისკურანტი მოთხოვნისათანავე მსურველთ უფასოდ ეგზავნებათ.

[illegible]

ამხანაგობის წარმომადგენელნი:

ტფილისში გ. მულიარსკი

(ერევნის მოედანზე № 25)

ქუთაისში ვ. ჭილაძე

(ტფილ. ქუჩა სახლთ. სახ.)

(50—16)

Дозв. ценз. Тифлисъ, 27 Августа, 1902 г.

ელექტრონის სტამბა წიგ. გამომ. ქართ. ამხ. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва).